სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №55

CPV -50411400

თბილისი 11.06. 2019 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“, (მის: თბილისი, ჟ შარტავას ქ. №7, ს/კ 205296375, სახაზინო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, სახაზინო კოდი, 741977499, ტელ: 0322378127**) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის გიორგი გვენეტაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ტექნო S“, (მის: თბილისი, ყაზბეგის 29ბ, ბ72. ს/კ 404878673,** საბანკო რეკვიზიტები: **ს/ს „თიბისი ბანკი“, ბანკის კოდი TBCBGE22, ა/ა GE75TB7898336080100001, ტელ: 597 16 40 26**) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **არჩილ კონიაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის **მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის** საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, მიწოდების პირობები და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ტაქომეტრების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების შესყიდვა. კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ელექტრონული ტაქეომეტრის ჰორიზონტალური კუთხის მზომი სენსორის შეცვლა და ტაქეომეტრის გასწორება, ასევე 2 (ორი) ერთეული ელექტრონული ტაქეომეტრის შემოწმება.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2060 **(ორიათასსამოცი)** ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. 1 ერთეული ელექტრონული ტაქეომეტრის ჰორიზონტალური კუთხის მზომი სენსორის შეცვლის და ტაქეომეტრის გასწორების ღირებულებაა 1660 (ათასექვსასსამოცი) ლარი, ხოლო 1 ერთეული ელექტრონული ტაქეომეტრის შემოწმების ღირებულებაა 200 (ორასი) ლარი.

2.3 დაფინანსების წყარო - **2019 წლის საკუთარი სახსრები.**

2.4 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან **2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით, წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტის გათვალისწინებით.**

2.5 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2019 წლის 11 ივნისიდან 2019 წლის 20 ივნისის ჩათვლით.**

2.6 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, მიმწოდებლის სერვისცენტრი.

2.7 მომსახურების გაწევის პერიოდში, შესაკეთებელ აპარატურაზე მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს და იგი პასუხისმგებელია სრულად აანაზღაუროს შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

3.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის ხარისხის კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს.

3.2 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება შესასყიდი ობიექტი უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი ან/და ზეპირი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტი ან თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს ხარისხიანი შესასყიდი ობიექტის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს ამ უხარისხო შესასყიდი ობიექტის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია დააბრუნოს აღნიშნული უხარისხო ობიექტის ღირებულება.

4. მიღება - ჩაბარების წესი და საგარანტიო პირობები

4.1 შესასყიდი ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც აწარმოებს სააგენტოს უფლებამოსილი პირი.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

4.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქონების მართვის სააგენტო"-ს ქონების მართვის სამსახურის ქონების აღრიცხვისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი **დავით თაყაძე.**

4.4 ელექტრონული ტაქეომეტრის ჰორიზონტალური კუთხის მზომი სენსორის შეცვლაზე და ტაქეომეტრის გასწორებაზე ვრცელდება გარანტია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 **(ერთი) წელი.**

5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

5.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად.

5.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, თავიანთი ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

6.2 თითოეული მხარე უფლებამოსილია მეორე მხარის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების (მათ შორის ეტაპობრივი) დარღვევის შემთხვევაში, დააკისროს მეორე მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით, ხოლო თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რომლის ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 %-ს.

6.3 მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩამოერთმევა სრულად.
6.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას გადაწყვეტილების გაცნობიდან (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში.
6.5 მხარეები გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას წარმოქმნილი უთანხმოების აღმოსაფხვრელად მოლაპარაკების გზით. უთანხმოების მოლაპარაკების გზით აღმოფხვრის შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საერთო სასამართლოს.
6.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
7.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა თუ დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ნორმატიული და კანონქვემდებარე აქტებით ან/და სხვა განსაკუთრებული გარემოებებით, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
7.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ მისი მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

8. სხვა პირობები (ხელშეკრულების შეწყვეტა, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა)

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.
8.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.
8.3 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიწოდების ვადის 15 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;
გ) თუ შემსყიდველი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
8.4 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8.5 დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დასაშვებია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების მხოლოდ 10%-ის ოდენობით გაზრდა.

8.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან.

9. ინტერესთა კონფლიქტი

9.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ადასტურებს რომ მისი მონაწილეობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის პროცედურაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

10. მხარეთა რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
სსიპ ქონების მართვის სააგენტო	შპს „ტექნო S"
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი გიორგი გვენეტაძე	დირექტორი არჩილ კონიაშვილი

შ.პ.ს. ტექნო S

თბილისი, 0177, ყაზბეგის 29ბ, ბ 72
ტელ: (995 597) 164026; (995 599) 164026
ელ.ფოსტა: technos.geo@gmail.com
info@technos.ge

Techno S Ltd

App 72. Tbilisi, 0177, Kazbegi Str 29b,
Tel: (995 597) 164026; (995 599) 164026
E-Mail: technos.geo@gmail.com
info@technos.ge

თარიღი: 04.06.2019

ინვოისი №104-2019

ქ.თბილისის მერია

No	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ ღირებულება
1.	ელექტრონული ტაქეომეტრის ჰორიზონტალური კუთხის მზომი სენსორის შეცვლა და ტაქეომეტრის გასწორება	1	1660.00	1660.00
2.	ელექტრონული ტაქეომეტრის შემოწმება	2	200.00	400.00
	სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით, ლარი			2060.00

სულ გადასახდელია: ორი ათას სამოცი ლარი 00 თეთრი

ბანკი: TBC ბანკი
კოდი: TBCBGE 22
ა/ა №: GE75 TB78 9833 6080 1000 01

არჩილ კონიაშვილი
დირექტორი
შპს „ტექნო S“

when it has to be **right**

Leica Geosystems

13 February 2019

DISTRIBUTOR CERTIFICATE

We herewith confirm that

Techno S Ltd
29b Kazbegi St.
0177 Tbilisi, Georgia

Represented by its Director Mr. Archil Koniashvili

is our Authorized Distributor in **Georgia** for products of the following product segments:

- Leica Geosystems Geomatics TPS, GNSS and Digital Level Solutions
- Leica Geosystems Terrestrial Laser Scanning Solutions
- Leica Geosystems GIS Asset Collection Solutions
- Leica Geosystems Monitoring & Reference Network Solutions
- Leica Geosystems Tools focussed on Building & Infrastructure Construction
- Leica Geosystems Tools focussed on Finishing & Inspection
- Prexiso Tools for Interior & Exterior Construction

and is authorized to

- submit offers and quotations for our equipment
- participate in tenders
- sign contracts in his own name for the supply of our equipment
- service and repair our products as per service certificates obtained

Distributor is not entitled to register with any local authority without the explicit written approval given by Leica Geosystems prior to registration.

This Certificate is valid till 31 December 2019 and can be renewed afterwards.

Leica Geosystems AG

.....
Johannes Schwarz
Executive Vice President

.....
Lukas Koller
Executive Vice President

Leica Geosystems

Leica Geosystems AG
Heinrich-Wild-Strasse
CH-9435 Heerbrugg
(Switzerland)

Leica Geosystems AG
Heinrich-Wild-Strasse
CH-9435 Heerbrugg
Switzerland
Phone +41 71 727 31 31
www.leica-geosystems.com

როდესაც ეს უნდა იყოს სწორი **Leica**
Geosystems

13 თებერვალი, 2019 წ.

დისტრიბუტორის სერტიფიკატი

აღნიშნულით ვადასტურებთ, რომ

შპს „ტექნო ს"
ყაზბეგის ქუჩა 29ბ
0177 თბილისი, საქართველო

არის შემდეგი პროდუქტის სეგმენტების პროდუქციის ჩვენი ავტორიზებული დისტრიბუტორი საქართველოში:

- Leica Geosystems Geomatics და ციფრული ნიველირების გადაწყვეტილებები
- Leica Geosystems სახმელეთო ლაზერული სკანირების გადაწყვეტილებები
- Leica Geosystems GIS რესურსის ნაკრების გადაწყვეტილებები
- Leica Geosystems მონიტორინგისა და საცნობარო ქსელის გადაწყვეტილებები
- Leica Geosystems შენობისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები
- Leica Geosystems მოპირკეთებაზე და ინსპექტირებაზე ორიენტირებული ინსტრუმენტები
- ინტერიერისა და ექსტერიერის სამშენებლო ინსტრუმენტები Prexio

და უფლებამოსილია

- წარადგინოს ჩვენს პროდუქციაზე შეთავაზებები და ფასდება
- მონაწილეობა მიიღოს ტენდერებში
- საკუთარი სახელით ხელი მოაწეროს ხელშეკრულებებს ჩვენი პროდუქციის მიწოდებაზე
- მოემსახუროს და შეაკეთოს ჩვენი პროდუქცია მიღებული სერტიფიკატების შესაბამისად

დისტრიბუტორს არ აქვს უფლება დარეგისტრირდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანოში LEICA Geosystems-ის მიერ რეგისტრაციამდე გაცემული აშკარა წერილობითი თანხმობის გარეშე.

წინამდებარე სერტიფიკატი ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრამდე, მომდევნო განახლების შესაძლებლობით.

LEICA Geosystems AG

(ხელმოწერილია)
იოჰანეს შვარცი
აღმასრულებელი
ვიცე-პრეზიდენტი

(ხელმოწერილია)
ლუკას კოლლერი
აღმასრულებელი
ვიცე-პრეზიდენტი

Leica Geosystems AG
Heinrich-Wild-Strasse
CH-9435 ჰაიბრუგი
შვეიცარია
ტელ: +41 71 727 31 31
www.leica-geosystems.com

(შტამპი დასმულია)

თარგიმანი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190171427
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.02.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ბესიკ სეხნიაიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი,ვაჟა ფშაველას გამზ. #7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 (32) 72-68-80
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	92127492771319

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი ბესიკ სეხნიაიძე, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი ქ. №7, ვადასტურებ თარჯიმნის მზია კობრავას (დაბ. 14.06.1967 პირადი № 01019047672, გაც. მცხოვრები: თბილისი, თემქა 4-ე მ/რ, 3-ე კორპ ბ. №9) ხელმოწერის ნამდვილობას.

Я, нотариус в г. Тбилиси Бесик Сехниаидзе, нотариальное бюро которого находится по адресу: Тбилиси, пр. Важа-Пшавела № 7, заверяю действительность подписи Мзии Кобрава рож. 14.06.1967г. проживающей по адресу: Грузия, г. Тбилиси, посёлок ТЭВЗ, 4м/р, корп. №3, кв. № 9. личный № 01019047672.

I, the notary Besik Sekhniaidze, whose notary office is located on 7, Vazha-Pshavela Avenue, confirm the actuality of the signature of a translator Mzia Kobrava. (born on 14.06.1967, personal №01019047672, residing at Temka District, 4 m/d., bl. 3, fl.9, Tbilisi).

მე, ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სიზუსტეზე. რომელმაც დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. სერთიფიკატი გაცემული უცხო ენათა და პროფესიონალური განვითარების საერთაშორისო ცენტრის „გლობალ ედუქეიშენ ჯორჯია"-ს ინგლისურის B1 დონის კურსი/სერტიფიკატი № 299 საქართველოს "ახალგაზრდობის უფლებათა დაცვისა და განვითარების კავშირთან" არსებული სასწავლო ცენტრის რუსული ენის შემსწავლელი სრული კურსი. გაც. 20.07.2005წ. შესრულებულია ხელმოწერა 1 გვერდზე 1 ეგზემპლარად.

Я, нотариус предупредил переводчицу, что она несёт ответственность за точность перевода, которая подтвердила, что владеет иностранным языком и гарантирует точность перевода. Сертификат №299, выданный 20.07.2005г. учебным центром при «Союзе развития и защиты молодежи Грузии».

I, the notary, warned the translator, that she is responsible for the precision of a translation, who confirms that has a good command of English and Russian languages and provides the precision of a translation. Certificate issued by International Center of Foreign Language and Professional Development – Global Education Georgia, The English B1 level Course.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 2 ლარი თანახმად მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებისა (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობები, გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები) 31-ე მუხლისა და 2 (ორი) ლარი რეგისტრაციის საფასური თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

სულ გადახდილია 4 ლარი

ნოტარიუსი
Нотариус
The Notary

ბესიკ სეხნიაიძე
Бесик Сехниаидзе
Besik Sekhniaidze